# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა" ღირს
თვიურად 700,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 30,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახანის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადებები ფასი:
1 გვ. 200,000 მან.
4 „ 150,000 „
ხაზგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

№ 480 კვირა, მაისის 27 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 30,000



კვირას, 27 მაისს, შუადღის 2 ს. ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, გადახდილი იქნება პანაშვიდი

**ალექსანდრე სვიმონის ძე ანდრონიკაშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც ღრმა მწუხარებით უწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს განსვენებულის მეუღლე მარიამ ივანეს ასული ანდრონიკაშვილისა, დები ბარბარე სტეფნოვიჩისა, ნინო და ელისაბედ ანდრონიკაშვილები და ძმისწული მარგარიტა გიორგის ასული ანდრონიკაშვილი-ვასილიევისა.

№ 419. 1—1


## აღსასრულის პირებთან

ყოველდღიური ცნობები აღიარებენ კაპიტალისტურ ევროპის აგონიას. ბურჟუაზიის წრეებში [illegible] თავის წესზე არ არის. იმპერიალისტური ევროპის [illegible] ანტანტის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ინგლისის პრემიერ-მინისტრი ბონარ-ლოუ უკვე გადადგა. [illegible] ან ომის, ან ზავის სასარგებლოდ. [illegible] ინგლისის ბურჟუაზია განიცდის დიდ პოლიტიკურ კრიზისს. [illegible] კონსერვატორების.

[illegible] საფრანგეთი. [illegible] იმპერიალისტებმა ჯარისკაცთა რიცხვი და ფლოტის ძლიერება დიდად გაამრავლა-განავითარა.

საფრანგეთს ორი მტერი ჰყავს—წითელი რუსეთი და ყვითელი გერმანია. გერმანიის წინააღმდეგ საფრანგეთმა უკვე მიიღო პრაქტიკული ზომები. იგი არ დასჯერდა სარეპარაციო პირობებს. გერმანიის დასუსტება მარტო მარკების გადახდევინებით არ შეიძლებოდა. გერმანიის განკარგულებაში იმყოფებოდა დიდძალი ეკონომიური ხასიათის სიმდიდრე. განსაკუთრებით ნახშირით უპირისპირდებოდა გერმანია საფრანგეთს. საფრანგეთმა სწორედ ეს იარაღი გამოსტაცა გერმანიის მშრომელ ხალხს რურის ოლქის ოკუპაციით.

პუანკარეს პრაქტიკული პოლიტიკა და რაინდული გამბედაობა გერმანიის ტერიტორიის დაკავებაში გამოიხატება. მთელი ბურჟუაზიული პრესა, განსაკუთრებით ინგლისის საზოგადოებრივი აზრი, დასწარმეტყველობდა რაიმონდის ტაქტიკის მიუწონლობას. სამი თვის ოკუპაცია საფრანგეთს იმდენი დაუჯდა დაახლოებით, რამდენსაც ითვალისწინებდა სარეპარაციო ხელშეკრულების შეს-

[illegible] კრულისაკენ გადასტყორცნა. პუანკარემ თავი დაანება „სასახელო" პოსტს. რით ხსნის იგი ამ მოვლენას? „უბრალო" მოსაზრებით; უმაღლესმა სასამართლომ კომუნისტ კაშენის და მის კომპანიის გასამართლებაზე, იურიდიული თვალსაზრისით, უარი განაცხადა. უეჭველია პუანკარეს მარცხს აქვს უფრო ღრმა მიზეზები, რომლებიც ნაწილობრივად აღვნიშნეთ.

ბონარ-ლოუს და პუანკარეს ტრაღედია ბურჟუაზიულ სამყაროს კრიზისის დამადასტურებელია. კაპიტალისტური მსოფლიოს შენობა დამსხვრევის გზას ადგია, იგი რღვევის პროცესს, სიკვდილის ცხელებას განიცდის. შინაგანი ანტაგონიზმი, შეუთანხმებლობა მთავარ საკითხებში, განსახიერებული ეგოიზმი—აი რით ამოიწურება „კულტურულ" ევროპის ცხოვრების შინაბუნება.

ბურჟუაზიული მსოფლიო რევოლიუციის ვულკანზე ზის. დღეს თუ ხვალ ბუნებრივის აუცილებლობით აფეთქდება იგი. ბურჟუაზიის პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისი, რომელიც მთელი ევროპის მასშტაბითაა გადაშლილი. ამის უტყუარი საფუძველია...

## რადიო-დეპეშები

### მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

**პუანკარეს გადადგომა**

**ლონდონი.** 25 მაისი. პუანკარე გადადგა. ჯერჯერობით, სენატის სხდომის მოწვევამდე, მისი გადადგომა არ არის მიღებული. გადადგომა გამოწვეულია იმით, რომ უმაღლესმა სასამართლომ უარი განაცხადა კაშენის და სხვა კომუნისტების გასამართლებაზე, რადგან სასამართლოს განცხადებით ეს კომპეტენციაში არ შედის. აღნიშნული კომუნისტები პასუხის გებაში არიან მიცემული. რურში ყოფნის დროს საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ სიტყვების წარმოთქმისათვის.

**ლონდონი.** 25 მაისი. დეპუტატთა პალატაში [illegible] პუანკარემ წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომელიც დაახასიათა მთავრობის პოლიტიკა რურში. [illegible] სიტყვა მოულოდნელი იყო და გამოიწვია სოციალისტ ვინცენტ ორიოლის საუცხოვო თავდასხმა მთავრობაზე, ორიოლმა სასტიკად გააკრიტიკა მთავრობის მილიტარისტური პოლიტიკა და არ [illegible] შესაფერ ეპიტეტებს.

ორიოლმა სთქვა „საფრანგეთის ხალხს სურს [illegible] მაგრამ „ზავი" ჩვენს პირობებში ცარიელი [illegible]. როგორი მიმოხილვაც არ უნდა გააკეთოს [illegible], მე ვიმეორებ, ზავის შესახებ ლაპარაკი [illegible] სიტყვებია. ყოველგვარი წმინდა მოვალეობა დავიწყებულია, ყველა მთავრობები გულგრილათ უყურებენ ამას".

შემდეგ ორიოლმა განაცხადა, რომ რურის ოკუპაცია დაიწყო უმნიშვნელო მიზეზით, ვითომდა გერმანელებს წესიერათ არ შექონდათ თავისი გადასახადები, პუანკარემ კი პარიზის კონფერენციაზე არც კი მოუსმინა გერმანელებს.

**პარიზი.** 25 მაისი. პრეზიდენტმა მილიერანმა უარი განაცხადა პუანკარეს გადადგომის მიღებაზე.

**პარიზი.** 25 მაისი. გაზეთ „ფიგაროს" ცნობით, მთავრობამ გადასწყვიტა გაუშვას დეპუტატთა პალატა.

**პარიზი.** 25 მაისი. როგორც კი ცნობილი იქნა უმაღლეს სასამართლოს გადაწყვეტილება და მთავრობის გენერალურ პროკურორის ხოლრის დადგენილება გადაეცა, პუანკარემ გადადგომის ქაღალდი შეიტანა. პრეზიდენტმა მილერანმა უხერხულად სცნო კაბინეტის გადადგომა, რის გამო პუანკარემ გადადგომის საკითხი უკანვე წაიღო. შესაძლებელია სენატში შემდეგი კამათის დროს დასმულ იქნეს პუანკარესათვის ნდობის გამოცხადების საკითხი.

**ბერლინი.** 25 მაისი. საფრანგეთის მრეწველთა ჟურნალი „იუზინი" სწერს, რომ პუანკარეს განცხადება იმის შესახებ, რომ ნახშირის საკინძი საფრანგეთში მაისში აპრილთან შედარებით გაუმჯობესდა—მართალი არ არის. თავის განცხადებას მრეწველთა ორგანო ასაბუთებს მთელი რიგი ციფრებით, რომელნიც ამტკიცებენ ნახშირის ამოღების დაკლებას და ღუმელების მუშაობის შეჩერებას.

### აჯანყება რურის ოლქში

**პარიზი.** 23 მაისი. გილზენკირხენის ქუჩებში განახლდა შეტაკებები მუშებსა და პოლიციას შორის მუშები აიძულებენ ვაჭრებს დაუკლონ საქონლის ფასებს. მუშები შეეცადენ დაეტუსაღებიათ ბურჟუაზიული პარტიის წევრები, რომლებიც ხელს უწყობდენ პოლიციას, განზრახულია პროფკავშირების საშვალებით მუშათა თავდაცვის რაზმების მოწყობა,

**პარიზი.** 25 მაისი. ვინაიდან განზრახულია საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება დორტმუნდში და ახლო მდებარე რაიონებში, იქ იფეთქა აჯანყებამ. დორტმუნდის საავადმყოფოებში მიიყანეს პოლიციასთან შეტაკების დროს დაჭრილია 35 კაცი, ამითგან 28 მძიმეთ არის დაჭრილი.

**პარიზი.** 25 მაისი. გილზენკირხენში მშვიდობიან მცხოვრებთა დასაცავად პროფკავშირებმა მოაწყვეს სპეციალური კომისია.

**ბერლინი.** 25 მაისი. ოთხშაბათს მთელი დღის განმავლობაში გილზენკირხენი მუშებს ეჭირათ. აჯანყებულებმა დასწვეს პოლიციის სამართველო. პოლიციასთან შეტაკების დროს დაიჭრა 61 კაცი და მოკლულია 5. აჯანყება გამოიწვია პირველ მოთხოვნილების საგნების სიძვირემ და დაიწყო საყოველთაო გაფიცვის ლოზუნგით.

### ყვითელი სოციალიზმის დაცემა

**ნიუ-იორკი.** 23 მაისი. ნიუ-იორკში დამთავრებულმა ამერიკის სოციალისტურმა პარტიის ყრილობამ დაამტკიცა ყვითელი სოციალიზმის დაცემა შეერთებულ შტატებში.

სოციალისტური პარტიის წევრთა რიცხვი 1919 წელს უდრიდა 180,000, ხოლო ეხლა შემცირდა 12,000-დე პარტიის ლიდერები მწუხარებით აღნიშნავდენ იმას, რომ კომუნისტებმა მათ ხელი შეუშალეს და თუმცა—ლა დასტიროდენ მუშათა კლასის ერთიანი ფრონტის უქონლობას, მაგრამ მიუხედავად ამისა უარი სთქვეს ყოველგვარ წინადადებაზე ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ.

ყრილობამ გამოიჩინა ისეთი სისუსტე, რომ ბურჟუაზიული გაზეთები აღტაცებით სწერენ შეერთებულ შტატებში სოციალიზმის სიკვდილის შესახებ. ერთად ერთი, რაც დარჩა ამერიკის სოციალისტური პარტიიდან ეს არის პირადი პოპულიარობა დებსის, რომლის ექსპლოატაციას ყოველივე ძალღონით ცდილობს პარტია.

დებსი არჩეულია ცეკას თავმჯდომარედ და პარტიის ყოველკვირეული ჟურნალის რედაქტორად.

ღრმა განსხვავება დებსის და ყვითელი დემოკრატიის შეხედულებებს შორის აშკარად გამოიხატა იმ სიტყვებში, რომელიც დებსმა წარმოსთქვა—მასიურ მიტინგზე „მიუხედავად ყოველგვარ ჭორებისა და ცილისწამებისა. რომლითაც ცდილობენ სახელი გაუტეხონ, საბჭოთა მთავრობას, უკანასკნელი უკვე მეექვსე წელიწადია მტკიცედ განაგრძნობს თავის დიად მუშაობას. აი სულიერად ამ განმათავისუფლებლებთან ვარ და სავსებით ვაფასებ იმ მსხვერპლს რომელიც მათ გაიღეს ყველა მუშების ინტერესებისათვის მე არა ერთხელ ვსთქვი და ვაცხადებ, რომ უდიდესი მოვლენა. რომელიც წარმოშვა მსოფლიო ომმა, არის ამხ. ლენინი.

### უკრაინის ნოტა შვეიცარიას.

**მოსკოვი.** 23 მაისი. უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ რაკოვსკიმ შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს პოლიტიკურ დეპარტამენტის უფროსს გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც ნათქვამია: „უკრაინის მთავრობა უერთდება ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო რუსეთის მიერ გაგზავნილ ნოტას და დარწმუნებულია, რომ შვეიცარიის მთავრობა მიიღებს საერთაშორისო უფლების მიერ ნაკარნახევ ყველა ზომებს უკრაინის სავსებით დასაკმაყოფილებლად. უკრაინის მთავრობა აღნიშნავს იმ მძიმე შედეგებს, რომელიც შეიძლება მოყვეს იმ სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლებისადმი უთანასწორო მოპყრობას, რომელთა რეალური უფლება ძლიერ სახელმწიფოთა კოალიციის შიშის ქვეშ იმყოფება, რომელ მდგომარეობაშიაც შეიძლება ჩავარდეს აგრეთვე შვეიცარიაც. იცის რა ყველა ის ღონისძიებანი, რომელსაც შვეიცარიის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები ხმარობენ ს. ს. რ. კავშირთან ნორმალურ დამოკიდებულების აღსადგენად, უკრაინის მთავრობა ამხ. ვოროვსკის მოკვლაში ხედავს ამ მუშაობის ჩაშლის განზრახვებს.

## ახალი ამბები

— **კონფერენცია.** 30 მაისს ქალაქ ტფილისში იხსენება კონფერენცია სასკოლო ასაკამდე აღზრდილ დაწესებულებათა ყველა გამგეთა. განსახილველია მეტად საყურადღებო კითხვები.

— **ზეიმი შეფობის მიღების გამო.** 28 მაისს დილის 11 საათზე საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირი ღებულობს კულტ-შეფობას ქართულ ჯარზე და კავკასიის წითელ არმიის იმ ნაწილებზე რომლებიც საქართველოს ფარგლებში იმყოფებიან.

ამიტომ 28 მაისს დილის 10 საათიდან უნდა განთავისუფლდნენ სამსახურიდან განათლების ყველა დაწესებულებათა მოსამსახურენი, თანახმად განათლების კომისარის ბრძანებისა.

— **აფერიზმი.** მოქალაქე გიორგი ოსიპოვმა განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ მისმა ცოლმა, ნინომ, მთლად გაქურდა იგი. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ოსიპოვის განცხადება სიცრუეზე ყოფილა დაყრდნობილი. ოსიპოვი შერიგებია პირველ ცოლს და რომ მეორე ცოლს გაყროდა, განიზრახა ამნაირი ცილისწამება. საქმე გადაეცა პროკურორს.

— **ოჯახიანი ინვალიდები.** სახალხო მზრუნველობის კომისარიატმა დაადგინა ოჯახიანი ინვალიდებისაგან გაანთავისუფლოს სამხედრო ინვალიდების სახლი და დაასახლონ ცალკე ინვალიდების სახლში, რომელიც იმყოფება ტელეგრაფის ქუჩაზედ.

— **აბანოები ინვალიდებისათვის.** სახალხო მზრუნველობის კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა ვისთან ჯერ არს, რათა მიეცეს ინვალიდებს უფასო ბილეთები აბანოების სარგებლობისათვის.

— **ინვალიდების დაყოფა ჯგუფებად.** ამავე კომისარიატი ჰყოფს ჯგუფებად ყველა ინვალიდებს სამედიცინო შემოწმების შემდეგ. სულ დაყოფილნი იქნებიან 6 კატეგორიად და მათ შესაფერისი დახმარება მიეცემათ.

— **გაფრთხილება.** ქ. ტფილისის გარნიზონის უფროსის მოადგილემ აბაშიძე თავის ბრძანებაში აფრთხილებს მოქალაქეთ, რომ 25—30 მაისამდე ვაკეს რაიონში და არსენალისკენ გაიმართება სავარჯიშო სროლა.

— **ჭლექის კვირეული.** ბორჩალოს, სენაკის და სამხრეთ ოსეთის მაზრებიდან მოდის ცნობები, რომ ჭლექის კვირეული იქ ჩინებულათ ჩატარებულა. დანარჩენ მაზრებიდან ჯერ არ მოსულა ცნობები.

— **ძუძუმწოვარა ბავშები.** დამზღვევ კასსამ გაიღო 250 მანეთი ოქროთი სამკურნალო ქვედა განყოფილებისათვის ძუძუ მწოვარა ბავშების სამკურნალოსთვის.

— **შრომის ბირჟა.** 24 მაისს შრომის ბირჟაში გამოცხადდა 674 უმუშევარი, მამაკაცი 489, ქალი 185. ახლად ჩაეწერა 163. მამაკაცი 117, ქალი 46. მოთხოვნილება იყო 38, მამაკაცის 31, ქალის 7. სამუშაოზე გაიგზავნა 54, მამაკაცი 45, ქალი 9. უფლებაში აღდგენილია 2 მამაკაცი 1 ქალი.

— **გამომცემლობა.** გამოიცა შემდეგი წიგნები: 1) ა. ჩხენკელი „ბუნება" ნაწილი მეორე მცენარეები. სახელმწიფო გამომცემლობა. 2) „თვალსაჩინო-პრაქტიკული გეომეტრია" ნიკო შაფაქიძისა მეორე ნაწილის 1 წიგნი. 3) „მეტყეობა ენციკლოპედიური კურსი" პროფ. ს. ქურდიანის. ტომი I.

— კვირას 27 მაისს, საღამოს 7 საათზე პირველი ტეხნიკუმის შენობაში (გუნიბის ქ. № 46) **საენათმეცნიერო საზოგადოების** მორიგე კრება, სადაც მოხსენებას გააკეთებენ: 1. **დ. მგელაძე:** „რუსული ენის ზოგიერთი ფონეტიკური მოვლენები" და 2. პროფ. **ა. შანიძე:** „ჰაემეტობა ადიშის სახარებაში". დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

— **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ახალი გამოცემანი: „წითელი ფლოტი" (კრებული ვ. ზაიფისა და ს. ვინოგრადოვისა) და კრუპსკაიას წიგნი—„თვითგანვითარების ორგანიზაცია". ორივე წიგნი ლამაზად არის გამოცემული და შედარებით იაფად ფასობს: პირველი ღირს 30 კაპ. ჩერვ., ხოლო მეორე—10 კ. ოქროთი.

ოფიც. კურსი—26 მაისს.

— **ბირჟა.** საბჭოთა ნიშნები—18, სამი მეოთხედი. ჩერვონეცი—11.100.000 მანეთი, გირვანქა სტერლინგი ეფექტივი—13.100.000 მანეთი, ჩეკი—12.900.000 მან., დოლარი ეფექტივი—2.900.000 მან., ჩეკი—2.900.000 მან., ოსმალური ქაღალდის ლირა—1.850.000 მან., ფრანკი—165 ათასი, იტალიური ლირა—125 ათასი.

## ნესტორ ჯაშის ხსოვნას

ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ დ. საჯავახოში გარდაიცვალა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ამხ. ნესტორ მალაქიას ძე ჯაში. ნესტორის დაკარგვა დიდი დანაკლისია აქაური ინტელიგენციისათვის რომელიც დიდ დახმარებას უწევდა ყოველგვარ კულტურულ საქმეს. ბევრი რამ გაკეთებულა დ. საჯავახოში ნესტორის დახმარებით, კულტურულ სფეროში და ბევრსაც მოველოდით. დ. საჯავახოს მეგობარ ამხანაგეზი და გამოჩინებულის თემის ინტელიგენცია დიდი მწუხარებით აღნიშნავს ნესტორის დაკარგვას; ნესტორის პატივსაცემად აქაურმა ამხანაგებმა გადასწყვიტეს მისი ხსოვნის აღსანიშნავად გამოუწერონ ადგილობრივ სამკითხველოს ერთი წლით გაზეთი „ტიბუნა“.

**თ. ნოღელი.**

## სხვა და სხვა

— **უცნაური ბრალდება.** ამერიკელ მუშას კარლ ფარლანდის არაჩვეულებრივი შემთხვევა დაემართა: გარდაცვლილ ნათესავისაგან მან მიიღო მემკვიდრეობით 850 ათასი დოლარი. გარლანდმა გადასწყვიტა ამ ფულების გადაცემა—მუშათა შორის განათლების გასავრცელებლ ფონდისათვის და არ სურდა ესარგებლა პირადი მიზნებისათვის იმ ფულებით, რომლებიც მის მიერ არ იყო მოპოებული. ამ ფონდის შექმნის წინააღმდეგ ალსდგა მთელი ამერიკული პრესა. მის წინააღმდეგ გაილაშქრა აგრედვე ამერიკის შრომის ფედერაციამ სამუილ გომპერსის მეთაურობით. ეს ფედერაცია გარლანდს ბრალს სდებს იმაში, რომ ის თავის ფონდს ქმნის უმთავრესად „წითლების“ ე. ი. კომუნისტების დასახმარებლად და რევოლიუციონურ იდეების პროპაგანდისათვის. თვით გარლანდმა შემდეგი განაცხადა: „მე დავიბადე ალვიზარდე, და განათლება მივიღე იმ წრეში, სადაც თანამედროვე ეკონომიური წყობილბის უსამართლობა,—უდიდესი სიმდიდრე საშინელ სილატაკის გვერდით,—მით აიხსნებოდა, რომ ყველას არა აქვს ერთგვარი შესაძლებლობა ამ ქვეყნის სიკეთის შეძენისა. ჩემ მიერ მიღებული მემკვიდრეობა არის პროდუქტი ამ ეკონომიურ სისტემისა, რომლის მოსპობა მსურს მე და მე ვგრძნობდი, რომ შემიძლია ბევრი რამ გავაკეთო ამ იდეების გამარჯვებისათვის, თუ უარს განვაცხადებ მემკვიდრეობით სარგებლობაზე, როგორც კერძო მესაკუთრეების“. შესაძლებელი არის გარლანდის წინააღმდეგ გამოიხატება ირსებული სახელმწიფოებრივ და სოციალურ წყობილების დამხობის ცდებში.

— **გენრი ფორდი პრეზიდენტობისაკენ.** ცნობილი ამერიკელი მრეწველია და მფლობელი ავტომობილების უდიდესი ფაბრიკისა მსოფლიოში გენრი ფორდი, სრულიად სერიოზულად სცდილობს შეერთებული შტატების პრეზიდენტათ გასვლას. ყოველ შემთხვაში, პოლიტიკოსები, რომელნიც გაცნობილი ირიან საქმეების მდგომარეობას დემოკრატიულ პარტიაში, ამტკიცებენ, რომ ფორდს აქვს ყველა შანსები იყოს დასახელებული ამ პარტიის კანდიდატათ, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე. მის წინააღმდეგ გამოდის გადაჭრით მხოლოდ, ე. წ. ვილსონის მიმდინარეობა, რომელიც ფიქრობს, რომ დემოკრატიული პარტია ასეთი ფულის ტუზის კანდიდატურით დამარცხდება არჩევნებში. მაგრამ, მეორე მხრით, ფორდის კანდიდატურის მომხრენი უთითებენ, რომ მისთვის ხმის მისაცემათ მზათ არიან ე. წ. პროგრესიული რესპუბლიკანელებიც, ესე იგი ამ პარტიის ის ფრაქცია, რომელიც უკმაყოფილოა პრეზიდენტ გარდინგის პოლიტიკით.

— **„ლევიაფანი“.** უდიდესი გემი მსოფლიოში „ლევიაფანი“ სათბობი სითხისათვის არის გამოყენებული, რამაც მისი წყალწყა გაადიდა 5644 ტონით. გემის საერთო ტონნაჟი უდრის 59,956 ტონნს; ის 3000 ტონნით მეტი არის აქამდე მსოფლიოს ყველაზე უდიდეს გემთან შედარებით. „ლევიაფიანი“ პირველ რეისში გაემგზავრება ნიუ-იორკიდან სოუტგემპტონში ივლისის 4-ს ის ეკუთვნის „იუნაიტდ სტეტს ლაინს“-ის კომპანიას.

— **ფუტბოლის სტადიონზე.** აქამდე ლონდონში ფუტბოლის მატჩი თამაშდებოდა კრისტალ-პალასში, რომელიც ვერ იტევდა ყველა მსურველს, რათა დასწრებოდენ საშუალო ინგლისელებისათვის ამ სენსაციურ ამბავს. ახალი სტადიონი კი, რომელიც იქნა აშენებული ვემბელში, იტევს 150 ათას ადამიანს, მაგრამ ეს რაოდენობაც არ გამოდგა საკმარისი ენტუზიისტებისათვის. მოხდა საშინელი დაწოლვა, რომლის მსხვერპლი გახდა 900 ადამიანი ეს ამბავი ახლა სასამართლოს ეპილოგით სრულდება, რადგან გამოირკვა, რომ ახალ სტადიონზე სამსახური არ იყო საკმაოდ მოწყობილი. იმისათვის რომ სტადიონი გაეწმინდათ ხალხისაგან, საჭირო გახდა პოლიციელების მთელი რაზმები, რომლებიც ბრძოლაში რევოლვერებით იჭრებოდენ. ლონდონის პრესა განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ მძიმეთ დაჭრილთა შორის ძალიან ბევრი არიან ქალები და ბავშვები და რომ პანიკის დროს ძლიერები უწყალოთ იკვლევდნენ გზას ქალებისა და ბავშვების ბრბოში.

— **ავათმყოფობა კიბოთი.** მედიცინური ავტორიტეტები დიდ ყურადღებას აქცევენ კიბოთი დაავათმყოფების გავრცელებას. კიბო თანდათან ხდება ისეთივე მტერი კაცობრიობისა, როგორც ტუბერკულიოზი. განსაკუთრებით გავრცელებულია კიბო აღმოსავლეთის ხალხებში და დასავლეთ ამერიკის ინდოეთის ტბებში. ერთად ერთი იარაღი კიბოს წინააღმდეგ ბრძოლისა არის, როგორც ცნობილია, მისი რაც შეიძლება ადრე გაგება და მედიცინური მხრით წარმოდგენილი არის მოთხოვნილება ამ საქმის პოპულიარიზაციისა მოსახლეობაში, როგორც ეს არის ტუბერკულიოზზმთან და სქესობრივ დაავამყოფებებთან ბრძოლის დროს. ამერიკა ამ მხრივ ყველა ქვეყნებზე წინ მიდის. იქ ეწყობა პოპულიარული ლექციები კიბოთი დაავათმყოფების შესახებ და იქვე არის ყველაზე უკეთ დაყენებული ამ დაავათმყოფებათა სტატისტიკის საქმე. სტატისტიკა სხვათა შორის შემდეგს არკვევს: უხვი და მსუქანი ჭამა-სმა ხელს უწყობს კიბოს, რადგან ის გავრცელებულია მოსახლეობის სწორედ იმ კლასებს შორის, რომელნიც კარგათ იკვებებიან. ნიუ-იორკსა და ამსტერდამში (სადაც კარგათ არის დაყენებული სტატისტიკური მხარე საქმისა) გამორკვეულ იქმნა, რომ ევროპის კვარტალებში კიბოთი ყველაზე უფრო ავათმყობდებიან მდიდრები, ხოლო ღარიბებს შორის დაავათმყოფების შემთხვევები კი იშვიათია.

## პროვინციაში

### ქ. ქუთაისი.

**საპროტესტო დემონსტრაციები იმპერიალისტების თავდასხმის წინააღმდეგ.** 19 ამა მაისს, შაბათს შუადღის 12 საათზე, დიდ-ძალი ხალხი მოაწყდა „პარიზისკომუნა“-ს მოედანს და ქალაქის ბაღს. პროფ-კავშირები, წითელ ლაშქრის ქართულ-რუსულ ნაწილები და მოსწავლე ახალგაზრდობა მწყობრათ წინ დროშებით, პლაკატებით და სამხედრო ორკესტრით მიეშურებიან ხსენებულ მოედნისა და ბაღისაკენ.

სრულ 12 საათზე ჩვენი პარტიულ კლუბიდან გამოდიან მწყობრათ ჩვენი პარტიული ამხანაგები შემდეგი ცერემონიალით: წინ მოუძღვის ჩვენი უხუცესი პარტიული ამხ. იაკობ ფანცხავა და ბრძოლაში გამობრძმედილი ძველი რევოლიუციონერი-მუშა ამხ. დ. დოლიძე გულზე წითელ ბანტებით. შემდეგ მიდის სამხედრო ორკესტრი. ძველ პარტიულ ამხანაგს-მუშას კაპეტივაძეს დაკოჟრებულ ხელებით მაგრათ უჭირავს იმპერიალისტების ლაქია-მენშევიკებისაგან შეურაცხყოფილი ჩვენი ისტორიული დროშა, რომელსაც თან მისდევენ პლაკატები შემდეგის წარწერებით: **„ძირს ომი! შორს იმპერიალისტების სისხლიანი ხელები საბჭოთა ფედერაციისაგან. ძირს იმპერიალისტები! გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშების და გლეხების მთლიან ფრონტს და მის სადარაჯოზე მდგომ წითელ ლაშქარს“.**

შემდეგ მწყობრათ მიდის პარტიული გუნდი, რომელიც დრო გამოშვებით ასრულებს რევოლიუციონურ სიმღერებს. და ბოლოს მწყობრათ მიდიან პარტიული ამხანეგები.

გავლიან საშა წულუკიძის, საბჭოთა და როზა ლიუქსენბურგის ქუჩებს და 12 ნახ. საათზე მიუახლოვდებიან „პარიზის კომუნა“-ს მოედანს და რიგზე ჩაემწკრივებიან ტრიბუნის ახლოს. მიტინგს ხსნის პოფკავშირების ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კობახიძე. პირველ სიტყვას წარმოსთქვამს კომპარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის სახელით ამხ. გახოკია, რომელიც დაწვრილებით აცნობს დამსწრეთ ინგლისის მიერ საბჭოთა ფედერაციისათვის წარდგენილი ნოტის შინაარს, რომლითაც, სხვათა შორის, ის მოითხოვს ს. ს. რესპუბლიკის კავშირთასაგან ინგლისის კაპიტალიზმის სამეფოში რევოლიუციონურ პროპაგანდის შეწყვეტას, აგრეთვე ორატორი შეეხო ლოზანას კონფერენციაზე საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლის ამხ. ვოროვსკის შვეიცარიის ფაშისტების-მიერ მხეცურათ მოკვლას და უკანასკნელ სიტყვებში მოუწოდებს ყველა მუშებს და მშრომელ პატიოსან ინტელიგენციას მთლიან ფრონტისაკენ ევროპის იმპერიალიზმის სამუდამოთ გასანადგურებლათ.

მეორედ ამავე თემაზე ვრცლად სიტყვას წარმოსთქვამს რუს წითელ ლაშქრის წარმომადგენელი.

მესამედ სიტყვას წარმოსთქვამს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევ. პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის სახელით ამხ. მ. გავაშელი, რომელსაც გამოსვლისას ტაშის ცემით ეგებება დამსწრე საზოგადოება, მან ჩვეულებისამებრ მოკლედ და გარკვევით აღნიშნა ინგლისის კონსერვატორების თავხედური განძრახვები და აგრეთვე შვეიცარიის ფაშისტების ვერაგობა და მოუწოდა მშრომელ მასას და წითელ ლაშქარს ხელი-ხელ-ჩაკიდებული ბრძოლისაკენ. მან, სხვათა შორის, სთქვა, რომ ჩვენ მემარცხენე სოც.-ფედერალისტები, როგორც ეროვნული სოციალისტური პარტია, ნამდვილი დამცველი ერთა სოლიდარულ-თავისუფალ კავშირისა, ბრძოლისას პირველ რიგებს დავიჭერთ ფედერაციის მტკიცეთ დასაცავათ ევროპის შავი რეაქციონერებმყვლეფელ კაპიტალისტების დაცემისაგან. ამხ. გავაშელის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ქართულ წითელ სამხედრო ნაწილების წარმომადგენელმა და სხვა ამხანაგებმა.

მიტინგზე დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებით ხვდება ყოველ ორატორს და სიტყვის გათავებისას ტაშის ცემით ეხმაურება.

მიტინგზე ერთხმად იქმნა მიღებული ამხ. გახოკიას მიერ წარმოდგენილი საპროტესტო შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ ქ. ქუთაისში მშრომელნი-მუშები, წითელ არმიელნი, მშრომელი ინტელიგენტები, მოს-

## ფერეიდან

მაწვალებს ფიქრი ფერეიდანზე,
ასეთი გრძნობა გაადნობს ფოლადს
და საქართველოს, ფერებით ტანზე,
შეეტირება დღეს სეიფოლა.
იყო წარსული სასტიკი ომის,
სადაც გადატყდა ივერი, ურჩი
და ზოროასტრას ამ სტიქიონის
მოვარდნას, ზედით თუ გადაურჩით.
ნამთვრალევია როგორც ჰაშიშით,
ძველ შაჰ-აბასზე ეს პარაბოლა,
და ივერიამ ასეთი შიში
საუკუნოებს თან გააბოლა.
ფერეიდანო! შენ თვალთა ალვას,
აქვს ლეგენდები საგმირონია.
ცეცხლს—და უდაბურ ტყეებში მალვას,
შერჩება მხოლოდ ეგ ირონია.
აღმოსავლეთში ამაყი გურჯი,
წინაპართ ხსოვნას აბარებ ურნებს.
თუ ხაშმიან მზეს შენ გადაურჩი.
საქართველოსკენ გარეკავ ურმებს.
მაწვალებს ფიქრი ფერეიდანზე,
ასეთი გრძნობა გაადნობს ფოლადს
და საქართველოს, ფერებით ტანზე,
შეეტირება დღეს სეიფოლა.

**შოთა დუმბაძე.**

## მერი

შენი სიმბოლო დაჰფერფლეს, მერი,
და ჯვარს გააკრეს თეთრი ხელები.
მოსაწყენია ვით სექტემბერი,
ყველა სინაზე, ყველა ხველება.
დღეს კვირა არის და ჩემი ცქერა,
აედევნება ჟამთა სიავეს.
თვალები ლურჯი და თმებიც ქერა,
ო, რა უგულოთ გაანიავეს.
შელლის სინაზე დასწვა ჟიულმა,
შენი სინაზე ჩემ გულის ძგერამ.
ათას ხმაურმა, ათას ჟივილმა,
მოგქანცა ვიცი—ცრემლებით ცქერამ.
მიდავწვი ვნება და ამ ფიცარზე
ჩუმდარჩა მხოლოდ გრძნობა შიშველი.
ჩუღი ცრემლია გაყინულ ცაზე,
მამდამიწაზე—მერი, მიშველე!
ძიღუ
-ტი

**ცია თოიძე.**

## სიმრუდე

სოფელი გადარეულა,
ციების აზის კვალები;
არავინ არის ეულად,—
მტრობას დაუდგეს თვალები!
გიგას ყანები—ვერანა
მწყესებმა გაატიალეს;
თადემ უმტერა სიძესა,—
კანონსაც მიატრიალებს!..
ერთი ნასწავლი, როდესაც
ავობს საქონელ-თხებიან,—
მაშინ გლეხები სხვასაცა
უეჭველ დაუბრთხებიან!
სოფელი გადარეულა—
ციების აზის კვალები;
უვიცობაა წყეული,—
მტრობას დაუდგეს თვალები!

**არკადი აშარგაძე.**

## ავტოპორტრეტი სულის რვეულიდან

მიდიან. ყვირიან. და ასე სულ მუდამ...

მე კი! მე არ მივდევ მათ. მიეფრინავ. ვიქცევი. ვიხრჩობი.

და მაინც სულ მუდამ, მივფრინავ...

უცხოდ ნაგებ, მკერდ ტიტველ სფინქსივით, რომელსაც აცხუნებს მზე ეკვატორის, ცხელია და მწველი ჩემი გამოხედვა.

და ასე სულ მუდამ უცქერი მომავალს...

სიცხეში ალესილ გველებს მომაგონებს, ჩემი ძარღვები, რომ იკლაკნებიან, იკლაკნებიან, ჩემ მუდამ სიცხისგან და მზისგან გადამწვარ ტანზე.

მე მიყვარს!..—მე არ ვიცი რა მიყვარს?.. რა მინდა?.. რას ვეძებ?..

და ასე სულ მუდამ არ ვიცი. რა მინდა.., რას ვეძებ...

უსაზღვროდ მიხარიან, რომ უცქერი ჩემ, სიცხით დაკოდილ ტანს და ვგრძნობ, რომ ეს ტანი გახდება ლეში.

და ასე სულ მუდამ ვგრძნობ...

ვღონდები. მაშინებს მიწა და სიცოცხლე... ვიცი ყველაფერი... ვიცი მომავალი... და ასე ვიცი!— არ ვიცი... რა მინდა... რას ვეძებ...

**მიშელ მრევლიშვილი.**

## პანაშვიდზე

(იუმორესკა)

№-ეთის ეკლესიის გალავანში ხალხი შეგროვილიყო. ეკლესიის პატარა ეზო მთლად აჭრელებული იყო ფერადი ტანისამოსით, რომელთა შორის თვალს ახალისებდა ქალების საზაფხულო შლიაპები და სანდალოზით გაკრიალებული ფეხსაცმელი; მეტად მოკლე, კუდ მოჭრილი კაბები ძლივსა ჰფარავდნენ ქალიშვილების მუხლებს და მთლად ამხელდნენ უსირცხვილოდ გამოლაგებულ კანჭებს უხილავ ფერის აბრეშუმის წინდებში გამოწკეპილს. აქა იქ მოჩანდა მოტვლეპილი და ელვარე თავები დარბაისელ და გამელოტებულ მამაკაცთა. ეზოში საშინელი ყაყანი და ხმაურობა იდგა: თითქოს დღეობა, ან ბაზარი იყო. ახალგაზრდა ყმაწვილები და ქალები რიგ რიგად განწყობილნი უვლიდნენ ეკლესიას გარშემო და არშიყობდნენ.

ძეგლებთან შეგროვილი ჯგუფები გულმოდგინეთ ბაასობდნენ რაღაც დიდ მნიშვნელოვან საგანზედ. აკაციის ქვეშ, ირგვლივ შემორტყმულ ხის სკამზედ, ჩამომწკრივებულიყვნენ საზოგადო მოღვაწენი და წარსული კვირის გაზეთსა კითხულობდნენ.

ერთბაშად, ალაყაფის კარებში შემოფრინდა ახალგაზრდა ქალი, თვალი გადაჰკრა საზოგადოებას, იქვე კარებთან მოიმართა ჯიბის სარკე, გახსნა პატარა კოლოფი და გაფაციცებით გაიპუდრა შავი შუბლი, დამჭკნარი ლოყები და გამხმარი ნიკაპი, რომელიც მის წვრილს და გრძელს ყელზედ ბატის ნისკარტივით გამოიყურებოდა. ჯერ ტუალეტი არ გათავებულიყო და კოლოფი არ დამალულიყო, რომ ქალს ეახლა გალიფეში გამოწყობილი ყმაწვილი: „ქეთუნი, მოდიხარ დღეს კონცერტზედ?“ ქეთუნიმ სიამოვნებით გაიღიმა და ტუჩების აკრებით უპასუხა: „Что ты, глупиш? сегодня 40-вой день? Разве я могу?!“—მაგრამ, როდესაც ყმაწვილმა მხურვალედ დაუკოცნა მაჯა და თითები და თანაც ტკბილად წასჩურჩულა: „წავიდეთ გენაცვალე... მერე ჩემთან...“ დაუმატა ჩუმად:—Клянусь тебе, Голик, только для тебя... ამის შემდეგ, ორივენი, ხელჩაკიდებულნი, ჩაებნენ საერთო ფერხულს, რომელიც ეკლესიას გარშემო უვლიდა. ერთ მშვენიერ ძეგლთან, ანგელოზებით და კიპარისებით, აყუდებულიყვნენ სამი მამაკაცი. ერთი სქელ-სქელი, ძალზედ დამრგვალებულ სახით და გაპარხლებული კისრით, ევროპიულად გამოწყობილი; მუცელი გასტრონომიულ მაღაზიის რეკლამას მიუგვანდა და ჟილეტი ნახევარ არშინზედ წინ გამოეწია ღიპით, რომელიც კოსტიუმში აღარ ეტეოდა და ყველას წინ ეჩრებოდა. მეორე, ქართულ კაბაში, ყურთმაჯებით, თუშური ქუდით, გავაქსული ჩექმებით, რომელთაც საკერავები სჭარბობდა, და წელზედ სევადიანი, ძველებურად დაბალთულ ქამრით,—უფრო ქონდრის კაცსა ჰგვანდა თავის გრძელი ხიკვიანი ცხვირით და დაგრეხილ ულვაშებით, ვიდრე ყოფილ თავადიშვილს. მესამე მაღალ-მაღალი, წითური გაპარსული სახით და ჰალარა გაშლილი თმით, ოსური შალის გიმნასტიორკაში დიდრონი ჯიბეებით, მალი-მალ ისომდა თმაზედ ხელებს და ნამდვილი ჩობანივით იცქირებოდა აქეთ-იქით, თითქოს ხალხი კი არა, ცხვრის ფარა იყო გაშლილი ეკლესიის გალავანში. „მერე, ჩემო ბატონო, უამბობდათ ყოფილი თავადი, დავსხედით სადილზედ... რეზიკო გახლდათ თამადათ; კარგი ზაკუსკები, ცივი დედალი ნივრით, ჩიხირთმა ტყემლით, ახლა კიდევ კარგი შამწვარი ბატკანი სალათით, ზედაც კარგი წითელი ღვინო, აბა სიცოცხლე გქონდეთ, რომ ჩვენ კარგად შევექეცით...“ ამ სიტყვებს ისეთი მადიანი კილოთი გამოსთქვამდა, ისე ლაზათიანად აღევნებდა თვალებს, ტუჩებს, მხრებს, ხელებს და მთელ სხეულსაც კი, რომ გეგონებოდათ პანაშვიდზე კი არა, თეატრში მოსულხართ და ნიჭიერს მსახიობს უსმენთ.

მართლაც და ამ სიტყვებზე ჩოგანმა თავი აათამაშა, ულვაშებზე ხელი გადაისო და ტუჩები გააცმაცუნა; შემდეგ, სალოკი თითი მარცხენა ცხვირის ნესტოში შეაქანა ისე ოსტატურად, რომ გამოცდილი დოსტაქანი ვერ მოახერხებდა ასეთი სიმარჯვით და სისწრაფით; თითის წვერი სადღაც ზევით ცხვირის ძირას ააცურა, გამოუსვა გულმოდგინეთ, თითქოს სამ საპნიახს ქვევრს სარცხი ამოუსვესო და ძალზე გახარებულმა თითის წვერით რაღაც მონაპოვნი გამოიღო და ლამაზ ძეგლის სვეტს მიუწკიპურტა... თან ისე ჩაასველა, გეგონებოდათ იმ წუთს ლექციას დაიწყებდა ზრდილობაზე და სისუფთავეზე.. პარიზის სალონიებიდგან რომ გამოქცეულიყო.. ტახა!.. მაგრამ პირველმა დაასწრო; მას ევროპაც შემოვლილი ჰქონდა და აზიაც: სტამბული ფეხქვეშ ქონდა ამოღებული და იქაური ძაღლებიც კი იცნობდნენ.. „ოჰ, რა ოჯახში ვიყავით წუხელის, წამოიძახა მან თავის ქნევით და თვალები ნახევრად შუბლს მიაბარა;—ლამაზი ქალები, მუსიკა, კარტის თამაში... ამ სიტყვებზე ხელის თითებიც კი აუკანკალდა სიხარულისგან, სახეზედ ხომ ნათელი მოეფინა, თითქოს სათამაშო ქაღალდზე კი არა, რაფაელის სურათებზე ლაპარაკობდა. „მაგრამ იმ ოხერმა ბაქოელმა თათარმა ტყავი გაგვაძრო სუყველას.. სულ „აჩკო მილონ“-ს გაიძახოდა! აი გიდი? სადა მქონდა ჩემი ლირები, დღეს ერთ ორ მილიარდში ვიქნებოდი!“. ამ დროს გაისმა ეკლესიიდან უკანასკნელი გალობა და ხალხი წამოიშალა.. პანაშვიდი თავდებოდა... საყდრიდან გამოვიდნენ 2 ყავარჯნიანი ბებერი და ორი გაუთხოვარი ქალიშვილი.. როდესაც მღვდელი კარებზედ გამოდიოდა ეზო ცარიელი იყო.. ხალხი აღარ უსთაველის პროსპექტზედ გაშლილიყო და სეირნობას განაგრძობდა.

**ვენო ყიფიანი.**

…ველნი და საერთოდ ყველა აქ შეკრებილი მო-…ქენი ზიზღით და აღშფოთებით ვხედებით იმ-…იალისტური ქვეყნების უკანასკნელ ველურ გა-…ვლებს საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. ამ გამოს-…ებში ჩვენ ვხედავთ იმპერიალისტური ქვეყნების …ახ-ჩაითრიოს კაცობრიობა ახალ საშინელ იმპე-…ალისტურ ომში. ყველას გასაგონად და საყურად-…ბოდ ვაცხადებთ ჩვენ დავიცავთ სულით და გუ-…ით მშვიდობიანობას, ჩვენ არ გვინდა ომი, არ …ნდა სისხლის ღვრა, მაგრამ თუ ჩვენ თავზე მოგ-…ვევენ მას, მაშინ დე იცოდენ ყველამ ეს-ჩვენ …ვდებით ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების დაცვას …ლანი, როგორც ერთიანი დავდგებით მათი სა-…რაჯოზე.

ძირს ომი!

ძირს ამხ. ვოროვსკის მკვლელნი ყაჩაღები!

გაუმარჯოს სოციალიზმისათვის მებრძოლ …ომელ ხალხს მთელი მსოფლიოში,

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების სახელო-… დარაჯს წითელ არმიას“.

მიტინგი 2 საათზე დასრულდა. ჩვენი პარტიუ-… ამხანაგები იმავე წესით და ქუჩების გავლით …ოლუციონურ სიმღერების გუგუნით გაემგზავრ-… პარტიულ კლუბში, სადაც 3 საათამდე ამხანა-…მა შეასრულეს სხვა და სხვა სიმღერები და შე-… კი დაიშალნენ.

ქუთაისში პირველად 19 მაისის ჩვენი პარტი-… ამხანაგების ცალკე გამოსვლა აღსანიშნავია …, რომ ამხანაგების დიდი უმრავლესობა გამოც-…და საერთო დემონსტრაციაში მონაწილეობის …ღებათ და მწყობრებს ამშვენებდნენ განსაკუთ-…ით მუშები და მშრომელი ინტელიგენცია და … სპეკულიანტ-ბურჟუა, რომლებიც მხოლოდ შერ-… მემარჯვენე ფედერალისტებს.

**მ. ცხენისწყლისპირელი.**

# აკაკი ფალავა



დღეს, რუსთველის თეატრში რეჟისორ აკაკი ფალავას ბენეფისია. ჩვენ ბევრი ლაპარაკი არ დაგვჭირდება იმის შესახებ თუ რამდენათ ძვირფასია ჩვენი სცენისათვის ისეთი კულტურული ძალა, სასცენო ხელოვნების მცოდნე, როგორიც არის რეჟისორი აკაკი ფალავა.

უმთავრესად აღსანიშნავია ის გარემოება რომ აკაკი ფალავა თავდადებული, ერთგული და უანგარო გუშაგია ჩვენი თეატრის

აკაკი ფალავას მოღვაწეობა არ განისაზღვრება არსებული არტისტიული ძალების მაქსიმალური გამოყენებით და სცენაზედ მიმდინარე მუშაობის წარმოებით. იგი სერიოზული ნაბიჯებით მიდის ჩვენი თეატრის აღორძინების საქმეში.

ძველი სკოლის და სრულიად სკოლას მოკლებული მსახიობნი დღეს ვერ აკმაყოფილებს ჩვენი საზოგადოების მოთხოვნილებას. ჩვენ ძველ თეატრს უეჭველად გაასწრო ჩვენმა ცხოვრებამ და თეატრი დაიღუპება თუ იგი განახლების გზაზედ არ შესდგა. ამ მხრივ ყველაზე უფრო აქტიურად, ყველაზედ უფრო ენერგიულად და თავდადებით აწარმოებს მუშაობას აკაკი ფალავა.

დრამატიული სტუდიის დაარსების ინიციატივა, რომელმაც უნდა მოგვცეს განახლებული თეატრის ქურუმნი, ეკუთნის აკაკი ფალავას. ცხადია მარტო ერთი პიროვნების ხელი ვერ შესძლებს ამ დიდი საქმის დასრულებას, ამ მხრივ აკაკი ფალავას მიერ დაწყებულ საქმეს ესაჭიროება დიდი მორალური და მატერიალური დახმარება ჩვენი საზოგადოებისა და ხელისუფლებისაგან.

აკაკი ფალავას დადგმები რუსთველის თეატრში იქცევს განსაკუთრებით ყურადღებას. არსებული თეატრის მრავალ დაბრკოლებათა მიუხედავად ამ დადგმებში სჩანს რეჟისორის მცოდნე ხელი და დისციპლინა, რაც ასე საჭიროა ჩვენი სცენისათვის.

ქართველი საზოგადოება აუცილებლად დააფასებს აკაკი ფალავას მუშაობას და პატივსა და მადლობას მიუძღვნის მას, როგორც ქართული თეატრის უერთგულეს მუშაკსა და მოღვაწეს.

**ს.**

# …ლაქი და სოფელი

დიდი ხანია რაც ადგილობრივი პრესა სათა-…ო ყურადღებით ეპყრობა სოფლისა და ქალაქის …ლტურულად დაახლოვების საკითხს. ცოტა დრო … არის მას აქეთ, რაც მმართველი წრეების გუ-… ყური გლეხების, სოფლის მშრომელ მასსების …თვითცნობიერებისაკენ არის მიქცეული და ამ …ეროში პრაქტიკული ნაბიჯებიც იდგმება, რაც …ად სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

უდავო დებულებაა რომ ქალაქი და სოფელი, …ეხი და მუშა კულტურულად ძალიან დაშორებუ-… არიან ერთმანეთს.

ამის მიზეზი თვით გლეხისა და ქალაქის მუ-… ცხოვრების პირობებშია ჩამარხული, რაც უთუ-… უნდა იქნეს გადალახული თვით მათი ინტერე-… გულისათვის. ცხადია, რომ ვინც კულტურის …ერილის ახლოსაა ის სულიერად მაღლა დგას იმა-… ვინც ცენტრს დაცილებულია. ამ მხრივ კარგ მდგომარეობაშია ქალაქის მუშა. ქალაქის მშრომელი მასები ჩაბმული არიან ქალაქის ცხოვრებაში მონაწილეობას იღებენ კულტურის მუშაობაში და უშუალოთ ეწაფებიან მის ცხოველ მყოფელ სხივებს.

სულ სხვა მდგომარეობაშია გლეხი. კულტურის ცენტრს იგი მოცილებულია. დილიდან საღამომდე განუწყვეტლივ შრომის უღლის წევა მეტათ ხელს უშლის—ჩაებას საერთო ცხოვრების ფერხულში და კულტურულ მუშაობას დაეწაფოს, გათვითცნობიერების საქმე სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს. გლეხს თავის განკარგულებაში თავისუფალი დრო ძალიან ცოტა ან სრულებით არა აქვს. როდესაც მუშისა და გლეხის კულტურულად დაახლოვებაზე ვლაპარაკობთ სახეში უნდა გვქონდეს გლეხის მდგომარეობა.

მუშისა და გლეხის კულტურულად დაახლოვების საკითხის მოგვარება ერთი მთავარი საკითხია, მაგრამ თუ ხელისუფლებამ ამ თავითვე არ იზრუნა გლეხის ეკონომიურად აღორძინებაზე, ცხადია ეს მეტათ მნიშვნელოვანი საკითხი ვერ ამოიწურება ისე, როგორც ამას მოითხოვს გლეხის ინტერესები. დამაკმაყოფილებელია ამ მხრივ სოფლის მშრომელი მასსების მდგომარეობა? არა. რამდენათ მაღლა დგას ქალაქი კულტურულ ცხოვრებით, იმდენათ სიძნელეშია ჩაფლული სოფელი. რა არის ამის მიზეზი. მთავარია გზების უქონლობა, სასოფლო სამეურნეო იარაღების სიმცირე და სოფლად ინტელიგენტურ ძალების არ ყოლა.

ბევრი მტკიცება არ უნდა იმას, რომ ყოველი სოფელი დიდ გაჭირვებას განიცდის ტრანსპორტის გამო. ცენტრიდან პერიფერიებში კულტურის გასაფანტავათ საჭიროა გზების გაყვანა და მიმოსვლის გაჩაღება. ამ მხრივ კი სოფელი ძალიან მოიკოჭლებს. ისიც უდავოა, რომ სოფლის გლეხი მოკლებულია საშუალებას დაამუშაოს მიწა სასოფლო სამეურნეო იარაღების დახმარებით.

ეს გარემოება ხელს უშლის გლეხის გათვითცნობიერების საქმეს.

რაც შეეხება სოფლად ინტელიგენტურ ძალების ნაკლებობას, ესეც საგრძნობლად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ თუ ცენტრსა და პერიფერიებ შორის მიმოსვლის, გზების და ტრანსპორტის საკითხი მოწესრიგდა ისე, როგორც ეს საჭიროა ინტელიგენტური ძალებით ცოტათ თუ ბევრათ ქალაქიდან სოფლისაკენ დაიძვრის და გლეხის გათვითცნობიერების საქმეში თავის წვლილს შეიტანს.

ზემოაღნიშნული სრულებით არ უარყოფს მზრუნველობას (შეფობას), რომელსაც, ამ ჟამად, ფართე ხასიათი ეძლევა, სასურველია და მასთან მიზან შეწონილიც, რომ ქალაქის რომელიმე დაწესებულებამ, მუშებისა და გლეხების დაახლოვების მიზნით, მზრუნველობა მიიღოს ამა თუ იმ სოფლის გლეხებზე. მაგრამ, აქვე ავღნიშნავ, რომ თუ გზების საკითხი არ მოგვარდა სათანადოთ, მზრუნველობის სხივები მარტო ქალაქის ახლო მახლო მდებარე სოფლებს თუ მოხვდება და განაპირა სოფლები ისევ იმ მდგომარეობაში დარჩება, როგორშიაც იყო წინეთ.

აგრეთვე საჭიროა შეფობის საკითხის მოგვარებასთან ერთად სოფლის მესვეურები, აღმასკომების სახით, მეტს ინიციატორობას უნდა იჩენდენ სოფლის მტკივან საკითხების სათანადოთ მოგვარებისა და მოწესრიგებისათვის. აღმასკომები, ადგილობრივი ძალების დახმარებით, უნდა შეუდგნენ პრაქტიკულად ყოველ საკითხის განხორციელებას, როგორც არის გზების, ფოსტის და საერთოდ ტრანსპორტის მოწესრიგება. რადგან უამისოთ გლეხის გათვითცნობიერების საქმეს ვერ ჩავუყრით მაგარ საძირკველს და გლეხს ვერ დაუახლოვებთ ქალაქის მუშას. ცენტრის მაჯის ცემა უცნობი იქნება პერიფერიებისათვის და ამ უკანასკნელის გულის ტკივილი უცხო იქნება პირველისათვის.

პრაქტიკული ნაბიჯებით სოფლისაკენ, აი მორიგი ამოცანა და ვიმედოვნებ პრაქტიკის მოყვარული საბჭოთა ხელისუფლება სასურველად მოაგვარებს წამოჭრილს საკითხს, რევოლიუციის მძლავრი რეზერვის გლეხობის, სოფლის მშრომელი მასსების ინტერესების გულისათვის.

მეტი ყურადღება სოფელს მისი ტკივილების დასაყუჩებლად. მეტი პრაქტიკული ნაბიჯები სოფლისაკენ და ქალაქის სოფელზე შეფობის. შეფობის საკითხს ფართე ხასიათი უნდა მიეცეს, რომ მუშის და გლეხის სულის კვეთება ერთად შედუღდეს რევოლიუციის რიგების გასასალკდევებლად და გასამაგრებლად.

**აკ. სირაძე.**

# პარტიაში

— დღეს, მაისის 27-ს, დილის 11 საათზე ცენტრალურ ბიუროში დანიშნულია ახალგაზრდათა ცენტრალურ კომიტეტის არაჩვეულებრივი სხდომა. ამხანაგებს ევალებათ დასწრება აუცილებლად.

პასუხისმგებელი **მდივანი.**

# …რთი ავტორის საყურადღებოდ.

როცა კვირის „ტრიბუნაში“ (№ 474) წავი-…ხე ი. მჭედლიშვილის „წერილი რედაქციის მი-…რთ“,—გამახსენდა მისივე ლექსის შემდეგი სტრო-…ნი:

„და თეატრიდან ხალხს წაუკითხავს
თავის ლექსებზე ქების ლექციას!“

აქ განსხვავება იმაშია, რომ როცა კრიტიკა … ი. მჭედლიშვილის წიგნზე, იგი ამ შემთხვე-… („თეატრიდან“ კი არა) „ტრიბუნიდან“ ხმა-…ლა აუწყებს საზოგადოებას: ჯერ კი… ცოც-… ვარ და არ მომკვდარვარო!

ერთი მსახიობი იყო, რომელსაც ძლიერ ენა-…ებოდა თავისი გვარის გაზეთში ამოკითხვა. რე-…ზენტი კი სდუმდა. ერთხელ გულნატკენმა მსა-…მა წამოიძახა: „მეტი გზა არ არის უნდა ტრამ-… ქვეშ ჩავვარდეო!“

ბოლო დროს ჩვენს ლიტერატურაშიც მოდათ …ვიდა საკუთარ თავზე კრიტიკულ წერილების … არა! ჩვენ ამ თავხედობას მჭედლიშვილს ვერ …წამებთ, მაგრამ იგი მაინც ცდილობს პოეტურ …ებობაზე, იზრუნოს და ხანდახან კურიოზული …ტიკაც დასწეროს თავის კურიოზულ წიგნზე და …სთანა ცოდვილი კაცი კი ასეთი „კრიტიკის“ …ულად მხოლოდ ავტორის შარეს კითხულობს …მე.

ი. მჭედლიშვილს, ვიდრე იგი გაგიჟდებოდა, …ნობდი. ვიცნობდი როგორც საეჭვო ნიჭის პატ-…ს და ზოგჯერ კი სოფლის კორესპონდენციების … გამლექსავს.

ი. მჭედლიშვილი ამ ათეული წლის განმავ-…ბაში ვერც წინ წავიდა და—საკვირველია—რომ … უკან დაწეულა. ვინ იცის შეიძლება ეს იყოს … ღირსება.

მე კი ყოველთვის როცა მომიხდებოდა ქარ-…ლ პოეზიაზე ლაპარაკი, ი. მჭედლიშვილს თავის …ილს მივუჩენდი ხოლმე: იგი ჩვენს პოეზიაში თუ …ი თვალსაჩინო არა! ერთი უკანასკნელთაგანი …ც არის და მიუხედავათ მისი გაბოროტებულ …ათისა, ვცდილობდი პოეტის შემოქმედებაში …ვნა კარგი ადგილებიც, როგორც თხილს გულს …აცლიან ისე მეც პოეტის სიტლანქეს ყოველ-…ს ვანაჭუჭებ და მინდა რომ ჩემს კალმის წვერ-… მხოლოდ და მხოლოდ პოეტის კარგი მხარეები …ტოს.

ჩემი კალამი ამ შემთხვევაში პატარა გამოდგა … მჭედლიშვილის „სიკარგე“ ვერ მიიღო.

ეტყობა ამ პოეტს „რაღაც“ ვერ მოუნელე-ბია და არ იცის როგორ ძოიქცეს. ამ შემთხვევაში მე ვილაპარაკებ მის უკანასკნელ წერილზე.

ი. მჭედლიშვილმა გამოსცა წიგნი. წიგნი მივიღეთ უსიტყვოდ. აქ არის ბევრი მიზეზი. არის წიგნი, რომელსაც ვერ მოერევი და სდუმ, არის აგრეთვე ისეთი წიგნი, რომელიც თვით შეიცავს კრიტიკას. მაგრამ გამოჩნდა ერთი მწერალი და რუსულ გაზეთში (ალბად „ავტორის დაჟინებითი მოთხოვნით“) დასწერა რეცენზია, რომელმაც სხვათა შორის აღნიშნა რომ ავტორის ზოგიერთი ლექსი ძლიერ ჩამოჰგავს გრიშაშვილის ლექსებსო. ეს იყო და ეს. აი ეს შენიშვნა ვერ მოუთმენია ი. მჭედლიშვილს და ამ ტრიბუნიდან გაიძახის, რომ პირიქით გრიშაშვილის ლექსის ერთი ადგილი: „ძარღვებში სისხლის გადმოღვრა“—ჩემიაო!

რა გულნამცეცობაა!

პირადათ მე არც ის რუსული შენიშვნა მომეწონა და მით უმეტეს არც ეს „წერილი რედაქციის მიმართ“. შეიძლება მჭედლიშვილს მართლაც ჰქონდეს გრიშაშვილის რითმები თუ სათაურები (გაიხსენეთ მჭედლიშვილის ლექსი „პარნასში“ № 1 და ივ. გომართლის რეცენზია 1920 წლის „ერთობაში“ 17 მარტი)—მაგრამ საერთოდ რომ მჭედლიშვილის ლექსები გრიშაშვილის ლექსებს ჰგავდეს—სასაცილოა, ეს ორი პოეტი სხვადასხვა გზით დადიან. ერთს შორაქანი უყვარს მეორეს—ბილიკი და ამ ორი პოეტის ასე დახასიათება, ჩემის აზრით, უკანასკნელისთვის დამამცირებელიც არის.

ამ წერილში მე არავის არ ვიცავ! ეს წერილი არც პასუხია მჭედლიშვილის წერილისა: ამას არც ავტორი თხოულობდა. მან მხოლოდ ინფორმაციის სახით აუწყა საზოგადოებას „სიმართლე“ და ჩვენც გაკვრით შევეხებით ამ საკითხს.

ი. მჭედლიშვილი სტყუის. იგი თავის ლექსს ათარიღებს 1908 წლით. საბუთი? ზეპირი თქმა საბუთი როდია! ასე რომ ვიაროთ თარილის გადატანა უცრო შორს შეიძლება. ამ შემთხვევაში კი მარუთა შუამდინარელი თავის მეხსიერებას უფრო ენდობა და ამბობს, რომ ი. მჭედლიშვილს ამნაირი კონსტრუქციის ლექსი არსად არა აქვს დაბეჭდილი. თუ აქვს დაბეჭდილი მოიყვანოს საბუთი და მაშინ მის შენიშვნას მხოლოდ იურიდიული გამართლება ექნება, საკითხავია მაშ რად დასჭირდა ასეთი გამოსვლა? რამ აიძულა? პასუხი მარტივი იქნება თუ ზემორე თქმულს „ამ მოუნელებელ რაღაცას“ გავიხსენებთ.

ბოლოს და ბოლოს ეს სტრიქონი არც ისეთი თვალსაჩინოა, რომ ამდენი დრო დავაბანდოთ. პოეტობა სრულიადაც არ არის საჭირო და ყველა მომაკვდავმა იცის, რომ „სისხლი ძარღვებშია“!.. გრიშაშვილს ეს აზრი სხვადასხვა სახით გამოთქმული აქვს თავის ძველ ლექსებშიც (იხ. II ტ. გვ. 101 და 138.) და თუ ანატომიურ სისწორეს დავიცავთ სისხლი მხოლოდ მილებში მოგზაურობს და მეცნიერებამ იქამდეც მიახწია, რომ შესაძლებელი ხდება ერთი ადამიანის სისხლი მეორე ადამიანის სისხლის მილებში გადაილვაროს. (გაიხსენეთ მომღერალი ვიალცევი და მისი მეუღლე.) რაც შეეხება მის პოეტურ ფორმებში ასახვას ასეთი გამოთქმა ბაირონსაც აქვს თავის „ჩაილდ-ჰაროლდში“ და თუ გავლენას ვიგულისხმებთ—მაშინ ბაირონი (რომელიც ცოტათი მაღლა უნდა იდგეს მჭედლიშვილზე!!)—უფრო მეტ შთაბეჭდილებას დასტოვებდა.

მაგრამ მჭედლიშვილს—როგორც ყველა ზაფრიან ქალწულს—უყვარს რომ მისი ლექსები შურით დაიქოჩროს და თავის „დაჟინებულ მოთხოვნებით“ განზრახ შეცდომაში შეიყვანოს ქართველი მკითხველი. ეს პირველი არ არის მის მხრივ.

შედარება აზრის გამოთქმას ხელს უწყობს, მაგრამ საბუთად კი არ გამოდგება. და ჩვენ რომ მჭედლიშვილივით გულღრძო ვიყოთ მაშინ ჩვენ ერთგვარ პარალელს გავატარებდით მისსა და ძველ პოეტთა ლექსებ შორის და, აი, ბევრ ასეთ ნაცნობ ადგილებსაც შევხვდებოდით:

**ი. მჭედლიშვილი** სწერს:

„ფიქრმა და დარდმა დამძაბუნა
ცხოვრებამ თავში ჩამიკაკუნა“.
(იხ. მჭ. წიგნი გვ. 59).

**რ. ერისთავი** სწერდა:

„ფიქრმა და დარდმა დამძაბუნა
კისერში მაგრად ჩამიკაკუნა“!
(იხ. რ. ერ. თხზ. გვ. 42).

მკითხველს ალბათ არა სჯერა ასეთი მსგავსება. მაგრამ ჩვენი საბუთები ხომ ზეპირი არ არის? წიგნები დაბეჭდილია. აღნიშნულია კაბადონები და სხვ. მხოლოდ ერისთავის და მჭედლიშვილის გამოთქმებში განსხვავება ის არის, რომ ერთ პოეტს ცხოვრება „კისერში“ უკაკუნებს, ხოლო მეორეს—„თავში“.

— —

**ილია ჭავჭავაძე** თავის პოეტს ათქმევინებს:

„მიტომ არ ვმღერ, რომ ვიმღეროო“
(იხ. ილიას თხზ. გვ. 62).

**ი. მჭედლიშვილი** თავის თავს აწერინებს:

„მაგრამ რომ ვწერ, მიტომ არ ვწერ“.
(იხ. მჭ. წიგნი გვ. 8).

— —

**ნ. ბარათაშვილი** სწერს:

„მაგრამ რას არგებს კაცსა დიდება
თუ მოაკლდება თავისუფლება“!
(იხ. ნ. ბ. თხზ. გვ. 84).

**ი. მჭედლიშვილი** ამ აზრს ასე აბრუნებს:

„მაგრამ აღარ ვმღერ... არა იმღეროს
თავისუფლება ვისაც მოაკლდეს“
(იხ. მჭ. წიგნი გვ. 5).

— —

**გ. ერისთავი** ლერმონტოვის ლექსს ასე სთარგმნის:

„თუ შევიყვარო, ვინ შევიყვარო
ვის მივცე ხელი“. და სხვ.
(იხ. გ. ერ. თხზ. გვ. 66).

**ი. მჭედლიშვილი** ამ თარგმანს ასე სთარგმნის:

„ვინ შევიყვარო... ვის მივცე ხელი“ და სხვ.
(იხ. მჭ. წიგნი გვ. 34).

დასასრულ ჩვენი ავტორი თავის ერთ ლექსში ძველ პოეტებს ეუბნება:

„დიდნო პოეტნო თქვენ საფლავთან მოვედი კრძალვით“

რასაკვირველია საქებურია ძველ საფლავებთან კრძალვით მისვლა მაგრამ ეს „კრძალვა“ მათ ნაწერისადმი რომ გამოეჩინა უფრო უკეთესი იქნებოდა.

კმარა! ჩვენ აქ განზრახ ძველი პოეტების პოზიცია გავამაგრეთ. და ვინაიდან ი. მჭედლიშვილის აზრით „სათაურებზე ლაპარაკი ბავშვობაა“, ჩვენც ხათრი შევუნახეთ და ვილაპარაკეთ მხოლოდ სტრიქონების გადასხმა-გადმოსხმაზე. ჩვენ არ შევხებივართ მჭედლიშვილის რითმას, რომელიც მთელ წიგნში ვერ მოვიძიეთ. ჩვენ არ შევხებივართ მის სტილს, რომელიც კრიტიკის გარეშე სდგას, ჩვენ არ შევხებივართ მისი ლექსის აღნაგობას, რომელიც სხვა პოეტთა წამხედურობით სისწორით აქვს დაცული, რაც შემდეგ წერილისთვის უსათუოდ აღსანიშნავი იქნება.

და აი ასეთი პოეტი, რომელიც სხვათა პოეზიის ნამცეცებით იკვებება, და აი ასეთი ადამიანი, რომელსაც საკუთარი სისულელეც კი არა აქვს, გამოდის და თავის მოუნათლავ აზრებს სხვებს ახვევს თავზე.

ეს წერილი თუ დაიწერა, დაიწერა არა იმიტომ, რომ ღირდეს ამგვარ საგნებზე „სიტყვის გაგრძელება“, არამედ—დეე ყველამ გაიგოს და იგრძნოს: რომ „კალამი ნიჩაბი არ არის და გაზეთი კიდევ სამალაყო ახპარეზი“.

**მარუთა შუამდინარელი.**

## ხელოვნება

**გ. დავითაშვილის ბენეფისი.** სამშაბათს, მაისის 22-ს, რუსთაველის თეატრში გაიმართა ბენეფისი ქართული სცენის ნიჭიერი მსახიობის გ. დავითაშვილისა. ამ საღამოს გ. დავითაშვილი პირველად გამოდიოდა ჰამლეტის როლში. ცოტა არ იყოს, საზოგადოება შიშს გრძნობდა, მაგრამ ჩვენდა სასიამოვნოდ და მსახიობის სასახელოდ შიში არ გამართლდა: არტისტი გამარჯვებული გამოვიდა, მან დასძლია ეს მძიმე როლი. მან დიდის დაკვირვებით და ემოციით გადმოგვცა დანიის პრინცის შინაგანი სულიერი ბრძოლა და განცდანი, მისი ტანჯვა, სჩანს, მსახიობს ბევრი უმუშავნია ამ პიროვნების შესწავლა-გაგებაზედ. ყველა ამას ხელს უწყობდა მსახიობის კარგი გარეგნობა. სახე, ლამაზი პლასტიურობა, გრიმი შეხამებული კოსტიუმი და რაც პირველია, ჰამლეტის ბუნებისთვის ლირიზმით ალსავსე მგზნებარე ხმა. შორსა ვართ იმ აზრისაგან, თითქოს დავითაშვილის ჰამლეტი ამ ხანად სრულიად დამთავრებული იყოს, მაგრამ თამამად ვიტყვით, რომ ლადო მესხიშვილის შემდეგ ქართულ სცენას არ უნახავს ასეთი დამაკმაყოფილებელი შესრულება ჰამლეტისა და სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგ, როდესაც ახალგაზრდა მსახიობი სავსებით შეისწავლის და დაიმუშავებს ამ ამოცანა—პიროვნებას, მაშინ შესძლებს მთლიანი ჰამლეტის მოცემას. ამის თავმდები არის მისი ნიჭი და დაუღალავი მეცადინეობა. ქართველმა საზოგადოებამ სამშაბათს თეატრში ნახა ქართული სცენის კულტურული ძალა გ. დავითაშვილის სახით. საზოგადოებამ აღფრთოვანებული ოვაციები გაუმართა მსახიობს, აუარებელი ყვავილები და საჩუქრები მიართვეს. თეატრში ხალხის ტევა არ იყო. კარგნი იყვნენ, თავიანთ როლებში ა. იმედაშვილი—აქტიორი, რომელმაც დიდი გრძნობით და არტისტიული ნიჭით წაიკითხა მონოლოგი: „მძვინვარე პიროს“ პ. კორიშელი—პოლონიუსის როლში და მამის აჩრდილის შემსრულებელი №. დანარჩენი მოისუსტებდნენ დადგმა მოხერხებული და ახალი იყო, მაგრამ ჰქონდა ნაკლიც. მიუღებელია ასეთი სასაფლაო. ეს სცენა ტრაღედიის საინტერესო სცენაა და ამ ვგარმა დადგმამ მსახიობის თამაშს ზიანი მიაყენა, სამგლოვიარო პროცესია მეტად ლატაკი იყო. ეს მოქმედება ბევრჯერ გვინახავს უკეთესად დადგმული. კარგი იყო დადგმის მხრივ პირველ მოქმედების ორი სურათი მამის აჩრდილთან. სუსტი იყო „სცენა სცენაზედ“. ასეთი მიზანსცენები ჰამლეტისათვის მიუღებელია: მას ამ გვარი სიახლე არაფერს მატებს.

ვ. ბ.

---

**სახალხო სახლის 30 წლის იუბილე.** ქართული სახალხო დრამის არსებობის 30 წ. გამმართველ კომიტეტის სამხატვრო კომისიამ 10 ივნისისათვის უკვე შეიმუშავა პროგრამა, დაიდგმება, ნაწყვეტები, შემდეგი პიესებიდან 1. ერთი მოქმედება იმ პიესისა, რომელიც სულ პირველად იქმნა ნათამაშევი. 30 წ. წინეთ სახალხო დრამის სცენის მოყვარეთაგან. 2. მსხვერპლი. 1. მოქმედება 3. ერთი მოქმედებაც წლევანდელ სეზონის რომელიმე პიესიდან, შემდეგ ამისა დაიდგმება აპოთეოზი.

საიუბილეო კომიტეტს დაუთმო ფოტოგრაფიული აპარატი განათლების კომ. კინო-სექციამ, რომლითაც გადაღებული იქნება სურათები დასის შემადგენლობისა, გამგეობისა, სახალხო სახლისა, და ავჭალის აუდიტორიისა. ი. იმედაშვილმა კომიტეტს დაუთმო კლიშები სურათებისათვის სახალხო სახლის მოღვაწეთა რომელიც კი მას მოეპოება. სარედაქციო კოლეგია უკვე შეუდგა საიუბილეო კრებულის მასალების განხილვას. ამასთანავე კომისიამ დაადგინა, რომ საქართველოს ყველა დაბა ქალაქებში დაარსდეს იუბილეს დამხაარე კომისიები.

---

ქართველ მსახიობთა ყრილობა დანიშნულია ტფილისში ივნისის 11-ს. რუსთაველის თეატრში.

---

**აკიკი ფაღავას ბენეფისი,** დღეს რუსთაველის თეატრში ქართულ აკადემიურ დასის ნიჭიერ რეჟისორის და გამგის აკ. ფაღავას სბენეფისოდ იდგმება შექსპირის პიესა „ჰამლეტ“.

---

**საბავშო ოპერა.** შალვა თაქთაქიშვილმა დასწერა საბავშო ახალი ოპერა „ყვავილთა შორის“.

---

**სახელმწიფო ოპერა.** დღეს სახელმწიფო საოპერო თეატრში მიდის ბიზეს ოპერა „კარმენი“.

---

**საბავშო დილა.** დღეს მე-22 შრომის სკოლაში გაიმართება დილა საკონცერტო განყოფილებებით. დასაწყისი დღის 12 საათზე.

---

**რევოლიუციონური პიესა „არსენ ჯორჯიაშვილი“.** დაევალა სპეციალურ კომისიას პიესა „არსენ ჯორჯიაშვილის“ გადამუშავება და ახალი მასალებით შესწორება.

---

**ნაძალადევის თეატრი.** განათლების კომისარიატის დადგენილებით ყოველ პარასკეობით ნაძალადევის თეატრში აკადემიურ დასის მიერ გაიმართება უფასო წარმოდგენები მუშებისათვი.ს

---

**სახელმწიფო ოპერა.** ხუთშაბათს, მაისის 31-ს სახელმწიფო ოპერაში სეზონის დასახურავათ იმართება ალ. წუწუნავას საღამო. ეს საღამო გამოსათხოვარი იქნება არტისტებისათვის, მიდის სხვა და სხვა ოპერების საუკეთესო მოქმედებები. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. სხვათა შორის ამ საღამოს გადაცემულ ექნებათ ოქროს ნიშნები გულზე სატარებლად დამსახურებულ არტისტს ვასო აბაშიძეს და მუსიკოსს ია კარგარეთელს.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი: 1921 წლამდი მე ვიყავი წევრი სოც.-ფედ. სარევ. პარტიისა და უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ვითვლებოდი გაზ. „სახალხო ფურცელ-გაზეთისა“ მუდმივ თანამშრომლად. გადატრიალების შემდეგ, როდესაც ამ პარტიაში მოხდა უთანხმოება და გაყოფა, მე ვამჯობინე დრ. უპარტიოდ დარჩენა და არც ერთ პარტიაში აღარ მიმუშავია, თუმცა თანავუგრძნობდი მემარცხენე სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტიას. დღეს, ვინაიდან დავრწმუნდი, რომ მემარცხენე პარტია ადგია უფრო სწორ გზას, ვეწერები ამ პარტიაში და ვიწყებ თანამშრომლობას პარტიის ორგანოში.

**ლადო ბზვანელი** (ნაცვლიშვილი)

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

---

გაზეთ
„ტრიბუნის“
კანტორისაგან
ივნისის 1-დან „ტრიბუნა“
ღირება:
თვიურად . . 1000,000 მ.
ცალკე ნომერი . 40,000 „

---

ტფილისის აღმასკომის
# საადგილ-მამულო განყოფ.

აძლევს იჯარით 1923 წლ. ხილის მოსავალს რიცხვით 1440 საადრევო საუკეთესო ხეებს: (ბალი, ალუბალი, ატამი, ჰერამი, ქლიავი, ალუჩა, მსხალი, ნუში, ლეღვი, კომში, კაკალი და სხვა), ყოფილ მანთაშევის მამულში, მდებარე ვარანცოვის ქუჩაზე № 125.

პირობების გაგება შეიძლება განყოფ. კანცელარიაში აღმასკომის შენობა, ოთახი № 42, მამულში კი მამულების გამგესთან. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია კვირას, 27 მაისს, 10 საათზე მამულში.

3—2 **საადგილ მამულო განყოფილება.**

# ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში

აცხადებს საყოველთაო ცნობად, რომ ის პირნი, რომელნიც ჩამოთვლილი არიან ქვემოდ მოყვანილ განაწერში, მოვალენი არიან აიღონ პირად საქმიანობის სასარეწაო მოწმობები მიმდინარე 1923 წლის პირველ ნახევრისათვის.

| ნაწაწერის მუხლები | ხარისხი სასარეწაო მოწმობისა | ალნუსხვა პირადი სასარეწაო საქმიანობისა, რომლებიც იხდიან სასარეწაო გადასახადს. |
|---|---|---|
| 1 | I | ის პირნი, რომლებიც ეწევიან ხელობას ან წარმოებას საზოგადო სასარგებლო ადგილებზე (ქუჩებზე, მოედნებზე, ბაზრებში და ბაღებში), აგრეთვე მონტიორები და სხვანი, მოძრავ მრეწველნი, რომელნიც ხმარობენ სხვა და სხვა იარაღებს,—მაგალითად: დანების გამლესავნი, შუშების ჩამსმელნი და სხვ... |
| 2 | I | ის პირნი, რომელნიც ასრულებენ სავაჭრო წარმოებებში არა უმაღლეს მე-III ხარისხისა და სამრეწველოებში არა უმეტეს V ხარისხისა და აგრეთვე ამავე დაწესებულებათა კანტორების მოსამსახურეთა მოვალეობას მაგ.: ნოქარნი, მოანგარიშენი, კანტორშჩიკები, გამყიდველნი, ტაბელშჩიკები, ტეხნიკოსები და სხვ... გარდა გადამწერებისა მემანქანეთა დამტარებლებისა, ყუთებში ჩამწყობებისა, მზიდველებისა, დამლაგებლებისა, დარაჯებისა, მუშებისა და სხვ... რომელნიც ასრულებენ წმინდა მექანიკურ სამუშაოს. |
| 3 | II | ის პირნი, რომელნიც ასრულებენ მეორე მუხლში აღნიშნულ მოსამსახურეთა თანამდებობას, დანარჩენ უმაღლეს ხარისხების სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში და რომელნიც მსახურობენ იმავე დაწესებულებათა კონტორებში. |
| 4 | III | ის პირნი, რომელნიც განაგებენ სავაჭრო დაწესებულებებს არა უმაღლეს მე-3 ხარისხისა და სამრეწველო დაწესებულებებს არა უმაღლეს მე-5 ხარისხისა და სამრეწველოების განყოფილებებს უმაღლესი ხარისხისას (გარდა პატრონისა ან ერთი რომელიმე თანამეპატრონისა). |
| 5 | IV | ის პირნი, რომლებიც განაგებენ უმაღლესი (იხ. მ. 4). ხარისხის საწარმოო დარგების გამგეების და აგრეთვე ისინი, რომელნიც ასრულებენ ამავე დაწესებულებებში გამგის თანაშემწეების, მთავარი ბუღალტერის, კონტროლიორის, ინჟენერების, უფროსი ტეხნიკოსების, მუდმივი იურისკონსულტების, კონსულტანტების და სხვ. უმაღლეს მოსამსახურეთა მოვალეობას, გარდა პატრონისა და ან-და მოზიარეებისა. |
| 6 | III | პირველი საფეხურების კოოპერატივების და აგრეთვე არტელების გამგეობის წევრნი და გამგენი, რომელნიც იღებენ ჯამაგირს. |
| 7 | V | ის პირნი, რომელნიც შედიან გამგეობაში და საბჭოებში, და აგრეთვე დირექტორები, გამწესრიგებელნი და რწმუნებულნი კოოპერატივების კავშირებში, ტრესტებში და სინდიკატებში, სააქციონერო საზოგადოებებში, საპაიო ამხანაგობებში, საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებებში და ბანკებში. |
| 8 | III | ის პირნი, რომლებიც პირადათ ასრულებენ დაკვეთის და დავალების სახით სამუშაოს, რომელიც თხოულობს სპეციალურ ცოდნას და მოწესრიგებას, როგორიც არიან მაგალითად: კბილის ტეხნიკოსები, მხაზავნი, გემის შემდგენელნი და სხვ. |
| 9 | V | სხვა და სხვა შუამავალნი: აგენტები, კომისიონერები, ექსპედიტორები, ბირჟის მაკლერები და სხვანი, რომელთაც არ ყავთ მოსამსახურე და არა აქვთ კანტორა, და აგრეთვე ინსპექტორები და აგენტები კერძო საკრედიტო და დამზღვევ დაწესებულებისა და მოსიარულე ნოქრები, რომელნიც ვაჭრობენ ნიმუშების მიხედვით. |
| 10 | IV | ის პირნი, რომელნიც ეწევიან ხელობის სახით რაიმე თავისუფალ პროფესიას:<br>ა) ექიმები, კბილის ექიმები, ბეითლები, ხუროთ მოძღვარნი, ინჟენერები და უფლების დამცველთა კოლეგიის წევრები.<br>ბ) ბებია-ქალები, მასაჟის გამკეთებელნი, მსახიობნი და მემუსიკენი. |

**შენიშვნა 1-ლი:** ის პირნი, რომლებიც მოხსენებლი არიან მე-10 მ. პ. „ა“ და „ბ“ აბზაცში, რომელნიც თავის სპეციალურ ხელობას ასრულებენ რომელიმე დაწესებულებაში და განსაზღვრულ ჯამაგირს იღებენ გაწერის ამ მუხლით სასარეწაო მოწმობას არ იღებენ, თუ ამ ჯამაგირს გარდა არა აქვთ ამავე მუხლით გათვალისწინებული გარეშე შემოსავალი.

**შენიშვნა მე-2:** ყველა სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გამგეობის წევრები ან სხვა მოსამსახურენი განთავისუფლებულნი არიან პირად სასარეწაო გადასახადიდან არა უმეტეს სამი პირისა თვითეულ კოოპერატივში ან ამ კოოპერატივთა გაერთიანებაში.

**შენიშვნა მე-3:** სასარეწაო მოწმობის ფასი პირად საქმიანობაზე სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში მოსამსახურეთათვის შემცირებულია იმდენივე პროცენტით, რამდენითაც შემცირებულია სასარეწაო გადასახადი თვით დაწესებულებებზე.

**ღირებულება სასარეწაო მოწმობებისა პირად სასარეწაო საქმიანობისათვის 1923 წლის პირველ ნახევარში ზოლის მიხედვით.**

| ხარისხები | ზ | ო | ლ | ე | ბ | ი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | | 5 |
| I | 1.000.000 | 840.000 | 700.000 | 500.000 | | 340.000 |
| II | 1.500.000 | 1.200.000 | 1.000.000 | 760.000 | | 500.000 |
| III | 3.600.000 | 3.000.000 | 2.400.000 | 1.800.000 | | 1.200.000 |
| IV | 4.500.000 | 3.600.000 | 2.700.000 | 2.240.000 | | 1.500.000 |
| V | 15.000.000 | 11.500.000 | 10.000.000 | 7.500.000 | | 5.000.000 |

სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სავაჭრო წარმოებანი და დაწესებულებანი, სახელმწიფო ტრესტები და სინდიკატები, საკრედიტო დაწესებულებანი, სააქციონერო და შერეული საზოგადოებანი, კოოპერატივები და კოოპერატივთა კავშირები და სხვანი იხდიან სასარეწაო გადასახადს პირად საქმიანობაზე, სასარეწაო მოწმობის აუღებლად, ამისათვის ხაზინაში შესატან გადასახადის ჯამის რაოდენობის შესახებ განცხადებასთან დართული უნდა იქნას მოსამსახურეთა სია მათი სახელის, მამის სახელის, გვარების, თანამდებობის, ასაღები სასარეწაო მოწმობის ხარისხის, ძირითადი გადასახადის ჯამის, ქალაქის აღმასკომის სასარგებლოთ დამატებითი გადასახადის და საერთო ჯამის აღნიშვნით; აღნიშნული სიების მეორე ცალი ხაზინის ქვითარის №-ის და იარაღის აღნიშვნით გამოკრული უნდა იქნას მთავარ კანტორაში და ყველა განყოფილებებში.

პირად საქმიანობაზე სასარეწაო მოწმობის არ აღებისათვის დაწესებულია ჯარიმა: 1) ორმაგ რაოდენობით იმ დაწესებულებებისა და წარმოების პატრონებისათვის, სადაც განაწერში აღნიშნული პირები მსახურებენ და 2) ხუთმაგ რაოდენობით თავისუფალი პროფესიის მქონე პირებისათვის და იმათთვის, ვინც პირად სასარეწაო საქმიანობას ეწევა.

**ა. კ. ფინსახკომის რწმუნებული საქართველოში: ბ. ბიბინეიშვილი.**
1—1 **საგადასახადო განყოფილების გამგის მოადგილე: ბეზირგანიშვილი.**

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 315 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. ნეოგ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. №.